განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტომატოლოგიის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 24.01.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 05.03.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი ააიპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	404987332
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული სტომატოლოგი 0911
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო კორსანტია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ბეშკენაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ალხანიშვილი, სტომატოლოგიური ცენტრი “ალბიუსი", საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ თებიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ააიპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, ავტორიზაციის რეჟიმში ხორციელდება 2019 წლის შემოდგომის სემესტრიდან.

საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგიაში არის 5 წლიანი, მოიცავს სწავლების 10 სემესტრს და 300 კრედიტს.

პროგრამით უნივერსიტეტში სწავლობს 48 აქტიური სტუდენტი (პირველი და მესამე სემესტრი).

თვითშფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 40 აკადემიური (13 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 12 ასისტენტ პროფესორი) და 4 მოწვეული პერსონალი. თუმცა უნივერსიტეტიდან გადმოგზავნილი პროგრამის განმახორციელებელი პირების ნუსხის მიხედვით - 25 აკადემიური (14 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი, 5 ასისტენტი) და 21 მოწვეული პერსონალი. ნუსხაში ასევე ზოგიერთ პერსონალს მითითებული ჰქონდა აკადემიური ხარისხი, რაც ვიზიტის დროს არ დადასტურდა.

საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების გაცნობიდან ირკვევა, რომ პროგრამის მიზანია სტუდენტისთვის ცოდნის მიცემა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც სტუდენტები იღებენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას, უმეტესად მანეკენებზე და ფანტომებზე მუშაობის, ექიმის ასისტირების გზით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2020 წლის 24 იანვარს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოგვეგზავნა უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ გადმოგვეცა ადგილზე, წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა ჩვენთვის საინტერესო პირების გამოკითხვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ერთ-ერთი შენობა რემონტის გამო იყო დაკეტილი, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნიდან ზოგადი ინფორმაცია შენობაზე მივიღეთ). ინტერვიუს უმეტესი ნაწილი (აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან) ჩატარდა ინგლისურ ენაზე, გამოკითხულებმა აჩვენეს ენის სათანადო ცოდნა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან. ვინაიდან პროგრამა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებზეა გათვლილი, მის მიზნებში გათვალისწინებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები და მულტიკულტურულ გარემოში დასაქმების შესაძლებლობები. თუმცა უნივერსიტეტის ვებ-გვერდის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები არ არის საჯარო და ხელმისაწვდომი (მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა უკვე

ამოქმედებულია). ვიზიტის პერიოდში ვებ-გვერდზე მხოლოდ მოიპოვებოდა 2019 წლის ნოემბერში ორ ენაზე გამოქვეყნებული ანონსი, რომ უნივერსიტეტი ახორციელებდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღებას მოცემულ პროგრამაზე.

უნივერსიტეტის ფარგლებში, მოეწყო და აღიჭურვა საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზა, რაც თავისთავად სწავლების მეთოდების ეფექტურობის მაჩვენებლის ზრდას განსაზღვრავს. კლინიკა განკუთვნილია სტუდენტების პრაქტიკული მუშაობისთვის. სტომატოლოგიური კლინიკის სივრცე აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სტომატოლოგიურ კლინიკებთან: „ნიუ დენტი"(ი/მ თეა გზირიშვილი) და შპს „ვიაიპი სტომატოლოგია". მემორანდუმის მიხედვით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ აღნიშნული კლინიკების კლინიკური ბაზით.

მისასალმებელია სტუდენტთა ინტეგრირება აღნიშნულ კლინიკურ სივრცეში, თუმცა სამომავლო რეკომენდაცია შეეხება სტუდენტთა ჩართულობას პრაქტიკული საქმიანობაში კერძოდ, პაციენტებთან ინდივიდუალურ და დამოუკიდებლად მუშაობას, პრაქტიკული უნარების განვითარებას, რათქმაუნდა პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ. საქართველოს კანონმდებლობით ეს დასაშვებია (კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 14.2.ა).

კარგად სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამის მიუხედავად, სამწუხაროდ თითქმის ყველა სპეციალობის სასწავლო კურსის სილაბუსი არის დაუსრულებელი. არც ერთ სილაბუსში არ ჩანს პრაქტიკულად რას აკეთებს თვითონ სტუდენტი და შესაბამისად სემესტრის განმავლობაში მისი კლინიკური აქტივობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები არ ფასდება. ინტერვიუს და ბაზის დათვალიერების შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტები აქტიურად იმუშავებენ ფანტომებზე, თუმცა კონკრეტულად რას და როგორ გააკეთებენ, არსად არ არის დაკონკრეტებული. სპეციალიზაციის უმეტეს სასწავლო კურსებში ფასდება მხოლოდ სტუდენტის მიერ შემენილი თეორიული ცოდნა, ისიც არა პრაქტიკულ მეცადინეობებზე, არამედ მხოლოდ შუალედურ გამოცდებზე.

უნივერსიტეტში გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა MCQ, ღია წიგნი, პორტფოლიო და სხვა. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად წელს იგეგმება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), რაც ასევე გაწერილია სილაბუსებშიც, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რამდენ სადგურზე, რა დროში, რომელი კომპეტენციების შეფასება იგეგმება. ინტერვიუს დროს ამ შენიშვნაზე პასუხი იყო ის, რომ ჯერ ეს კურსები არ ისწავლება და დრო აქვთ შესადგენად, რაც არ არის მართებული! პროგრამა თავისი ყველა კომპონენტით უნდა იყოს დასრულებული სახით.

უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა საკონსულტაციო სერვისი, რომლის სარგებლობაც შეუძლია ყველა სტუდენტს, მათ შორის სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებსაც, კერძოდ - სერვისის განვითარების ოფისი (Service Development Office), რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით სტუდენტებს კონსულტირებას უწევს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე; ასევე, კარიერული განვითარების ოფისი (The NVU Office of Career Development), კონსულტაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის ცენტრი (The NVU Counselling and Integration Support Center).

პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში და საერთაშორისო მობილობის

პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ, ასევე არ გაუვლიათ კონსულტაციები კარიერულ წინსვლაზე. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვიზიტის დროისთვის პროგრამა იყო სამ თვეზე ნაკლები ხნის ამოქმედებული, შესაბამისად უნივერსიტეტსაც არ ჰქონდა საშუალება, წარმოედგინა სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა პროექტებისა და მათში ჩართული სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების შესახებ;

პროგრამაში ჩართული ზოგიერთი აკადემიური პირის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. კვალიფიკაციის შეფასებისას შეუსაბამოა პროგრამის განმახორციელებელი პირების, რიგ შემთხვევაში აკადემიური ხარისხი, მიღებული სპეციალური განათლება, აგრეთვე პედაგოგიური სტაჟი და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელებიდან მხოლოდ ერთს გააჩნია აკადემიური ხარისხი, მეორე ჯერ დოქტორანტია (თუმცა პროფესორი).
ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ კითხვაზე, თუ კონკურსის პირობების მიუხედავად, აკადემიურ თანამდებობაზე რატომ არიან არჩეული დოქტორის აკადემიური ხარისხის და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟის არმქონე პირები, გვიპასუხა, რომ ისინი არჩეული არიან უნივერსიტეტის წესდებაში არსებული გამონაკლისის სახით.

სპეციალობის აკადემიური პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს, აქვთ კარგი კლინიკური - პრაქტიკული გამოცდილება, რადგან მათი უმრავლესობა პრაქტიკული აქტივობებით გამოირჩევა და ფლობს სათანადო ცოდნას და კვალიფიკაციას. ასევე, პროგრამის განვითარებაში პერიოდულად, გარკვეულ ეტაპზე, ჩართულები არიან საერთაშორისო ლექტორები.

დაწესებულებაში დანერგილია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგებზე რეაგირების პროცედურები. პერსონალის შეფასებაში მონაწილეობენ სტუდენტებიც (სტუდენტების გამოკითხვა). 2019 წლიდან მოქმედებს ატესტაციის პროცედურები.

უნივერსიტეტს იყენებს პერსონალის განვითარების ინდივიდუალურ მოდელს, რაც გულისხმობს პერსონალის განვითარების გეგმის მომზადებას (PDP), ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას და შემდგომში საჭირო ღონისძიებების გატარებას.

უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე და უნივერსიტეტის ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომის შესაძლებლობა. სისტემა საკმაოდ მარტივია, მას იცნობენ და იყენებენ როგორც სტუდენტები, ისე პერსონალი.

წარმოდგენილ პროგრამაში ფინანსურ რესურსების განაწილების, ასევე, შემოსავლებსა და ხარჯებს შორის თანაფარდობის ანალიზით დასტურდება პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის კულტურის კომიტეტი (Quality Culture Committee) (QCC), რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობენ პროგრამის ხელმძღვანელები და მისდევდნენ მის წესებს (მაგ. კრედიტ საათების გაანგარიშება, უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის ჩარჩო, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო და ა.შ.). ვინაიდან ეს გახლავთ ახალი

პროგრამა, კვლევის შედეგები არ არის ხელმისაწვდომი. QA–ს ყველა მექანიზმი, რაც უნივერსიტეტში არსებობს, მომავალში გამოყენებული იქნება ამ კონკრეტული პროგრამის მიმართაც.

სტომატოლოგიის პროგრამის დამატება მოხდა ავტორიზაციის რეჟიმში. ავტორიზაციის დასკვნაში არაა შემუშავებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებისთვის, ვინაიდან, ავტორიზაციის პროცესში არ მომხდარა პროგრამის სიღრმისეული შეფასება. პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციის პროცესს. უნივერსიტეტი ღიაა ცვლილებებისთვის, გუნდი მოტივირებულია პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

- **რეკომენდაციები**

- დაინერგოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრ უმაღლეს სასწავლებელში და საქართველოს კანონმდებლობითაც დასაშვებია.
- მეტი სწავლის შედეგი სტუდენტთა კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების მხრივ.
- სტომატოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსებში, სადაც კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება, აუცილებელია პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტის დამატება. სილაბუსებში დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება პრაქტიკულ ნაწილში, დაკონკრეტდეს ფანტომებზე, პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება.
- გადაიხედოს პირადი საქმეები, სასწავლო კურსის და სილაბუსების ავტორები შეირჩეს შესაბამისი კვალიფიკაციით.
- გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, თითოეული სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგები იყოს თანმიმდევრული და განსაზღვრული კომპეტენციებით. სასწავლო კურსის სილაბუსები იყოს დასრულებული სახით.
- უნივერსიტეტის ვებ-საიტზე გამოქვეყნდეს ინფორმაცია პროგრამისა (მისი მიზნების) შესახებ, უზრუნველყოფილი იყოს მისი საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ.
- სტუდენტების მეტი ჩართულობა პროგრამის გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ გამოკითხვებში;
- კლინიკისთვის გათვალისწინებული არაა სახიფათო ნარჩენების დროებითი სათავსი. საქართველოს მთავრობის დადგენილების, #294 ტექნიკური რეგლამენტის -

„სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს ამბულატორიული დაწესებულებებისათვის, გარდა მაღალი რისკის ამბულატორიული საქმიანობის იმ მიმწოდებლებისა, სადაც დღე-ღამეში წარმოიქმენა 6 ლიტრზე მეტი სახიფათო ნარჩენი. კლინიკის სრული დატვირთვით ამუშავების შემთხვევაში 6 ლიტრზე მეტი სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის ალბათობა დიდია. შესაბამისად, სასურველი იქნება კლინიკის მშენებლობის / რემონტის სრულად დასრულებამდე სივრცის გამოყოფა სახიფათო ნარჩენების დროებით განთავსებისთვის.;

- პროგრამის მიზნების პირველ პუნქტში „ჩამოაყალიბოს მზრუნველი, კომპეტენტური, თავდაჯერებული მედიცინის სპეციალისტი სტომატოლოგიური, ორალური და მაქსილარული მედიცინის სფეროში“ შინაარსობრივად იგივე ტერმინების გამეორების ასარიდებლად, ფორმულირება შეიძლება შეიცვალოს შემდეგნაირად: „ჩამოაყალიბოს მზრუნველი, კომპეტენტური, თავდაჯერებული სპეციალისტი სტომატოლოგიის სფეროში“.
- პროგრამის მიზნების ქართულ თარგმანში პირველი პუნქტი შინაარსობრივად უფრო გამართული იქნება, თუ ტერმინი «ბიო-სამედიცინო გამოკვლევები» შეიცვლება ფორმულირებით «ბიო-სამედიცინო კვლევები».

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების პირველი პუნქტი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: • „ჩამოაყალიბოს მზრუნველი, კომპეტენტური, თავდაჯერებული მედიცინის სპეციალისტი სტომატოლოგიური, ორალური და მაქსილარული მედიცინის სფეროში შედეგზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით, რაც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების მაღალ ხარისხსა და ბიო-სამედიცინო გამოკვლევებს აკადემიურ და კლინიკურ გარემოში.“ მიზნების ეს ნაწილი რეალისტური და მიღწევადია, თუმცა მისი უფრო ნათლად ჩამოყალიბების მიზნით მიზანშეწონილია შემდეგი საკითხების გათვალისწინება: • ტერმინი “ორალური და მაქსილარული მედიცინა“ (პროგრამის ინგლისურ ვერსიაში - “oral and maxillofacial medicine”) ქართულ სამედიცინო სივრცეში ნაკლებად არის დამკვიდრებული და შინაარსობრივად თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ტერმინს „სტომატოლოგია“. • გარდა ამისა, ამავე პუნქტში მოცემული ტერმინის „ბიო-სამედიცინო გამოკვლევები“ (ინგლისურ ვერსიაში - “biomedical research”) შინაარსობრივად უფრო სწორი ფორმულირება იქნებოდა „ბიო-სამედიცინო კვლევები“. პროგრამის მიზნების დანარჩენი პუნქტები ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარების, კომპეტენციებისა და ღირებულებების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის იგი მიმართული: • უზრუნველყოს სამედიცინო მომზადება, უპირატესად პრაქტიკულ გარემოში (სადაც ცოდნის შეძენა და ორგანიზება ემსახურება მიღებული კომპეტენციების პრაქტიკულ გამოყენებას), ეთიკური ფასეულობების საფუძველზე და რაციონალური და ეფექტური ჩარევის წინაპირობაზე დაყრდნობით პატივი სცეს ინდივიდუალურ ავტონომიას; • ხელი შეუწყოს სტუდენტებს სტომატოლოგიური მედიცინის არსის გაგებაში, განუვითაროს მათ ჯანდაცვის მრავალფეროვან გარემოში მუშაობისათვის საჭირო

უნარები, რათა იყვნენ კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი მულტიკულტურულ გარემოში;

- მაღალკვალიფიციური შრომითი პერსონალის გაზრდა, რომლებსაც დასაქმების დიდი შანსი ექნებათ და შეეძლებათ შეიქმნან კარიერა მრავალფეროვან ჯანდაცვის სფეროში და მულტიკულტურულ გარემოში.

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან. ვინაიდან პროგრამა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებზეა გათვლილი, მის მიზნებში გათვალისწინებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები და მულტიკულტურულ გარემოში დასაქმების შესაძლებლობები.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები არ არის საჯარო და ხელმისაწვდომი (მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა უკვე ამოქმედებულია). ვიზიტის პერიოდში ვებ-გვერდზე მხოლოდ მოიპოვებოდა 2019 წლის ნოემბერში ორ ენაზე გამოქვეყნებული ანონსი, რომ უნივერსიტეტი ახორციელებდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღებას მოცემულ პროგრამაზე.

აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ მათ გათავისებული და გაზიარებული აქვთ პროგრამის მიზნები, განსაკუთრებით ის საკითხები, რომლებიც ეხება კურსდამთავრებულების კომპენტენციებს, ღირებულებებსა და მულტიკულტურულ გარემოში მუშაობის უნარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა (ქართული და ინგლისური ვერსიები)
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ-ის მისია და სტრატეგია
- პროგრამის ამოქმედების ანონსი ქართულ ენაზე - http://newvision.ge/ge/news/stomatologiis-saganmanatleblo-programis-amokmedeba
- პროგრამის ამოქმედების ანონსი ინგლისურ ენაზე - http://newvision.ge/en/news/launching-dental-education-program
- უსდ-ის მისია და სტრატეგია - http://newvision.ge/ge/content/misia-strategia

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ვებ-საიტზე გამოქვეყნდეს ინფორმაცია პროგრამისა და მისი მიზნების შესახებ, უზრუნველყოფილი იყოს მისი საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მიზნების პირველ პუნქტში „ჩამოაყალიბოს მზრუნველი, კომპეტენტური, თავდაჯერებული მედიცინის სპეციალისტი სტომატოლოგიური, ორალური და მაქსილარული მედიცინის სფეროში“ შინაარსობრივად იგივე ტერმინების გამეორების ასარიდებლად, ფორმულირება შეიძლება შეიცვალოს შემდეგნაირად: „ჩამოაყალიბოს მზრუნველი, კომპეტენტური, თავდაჯერებული სპეციალისტი სტომატოლოგიის სფეროში“.

o პროგრამის მიზნების ქართულ თარგმანში პირველი პუნქტი შინაარსობრივად უფრო გამართული იქნება, თუ ტერმინი «ბიო-სამედიცინო გამოკვლევები» შეიცვლება ფორმულირებით «ბიო-სამედიცინო კვლევები».
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე, სტუდენტის კვალიფიკაციის, ზოგადი სამედიცინო განათლების, ადამიანის უფლებების, ეთიკის პრინციპების განვითარების და პატივისცემის ხელშეწყობისკენაა მიმართული. სწავლის შედეგები ნათელი, ლაკონური და გაზომვადია, თუმცა პროგრამის სწავლის მისაღწევი შედეგების ჩამონათვალში ჭარბობს თეორიული ცოდნის ხვედრითი წილი, კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი პრაქტიკულ-კლინიკური კომპეტენციების ჩამონათვალი საკმაოდ მწირია, მათგან დისციპლინის სწავლების რამოდენიმე სპეციფიკური შედეგი, როგორიცაა: "გამოიყენონ პროფესიასთან დაკავშირებული ძირითადი ტექნიკა და პროცედურები, გამოიყენონ სტომატოლოგიური მეცნიერების თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გარემოში" ნაკლებად მიღწევადია, რადგან სწავლების მანძილზე სტუდენტები პრაქტიკულად პაციენტებთან არ მუშაობენ, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იძენენ უმეტესად ფანტომებზე მუშაობით და ექიმის ასისტირების გზით. თვითშეფასების ანგარიშზე, საგანმანათლებლო პროგრამასა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნოით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და მისი ყველა კომპონენტის ერთობლიობა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით

განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან სპეციალობის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადების დიდი დეფიციტია, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს ნამდვილად გააჩნია ამის მატერიალური რესურსი. პროგრამის ერთ-ერთი მიზანი ხომ კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მიღებაა, ამ შემთხვევაში კი უნდა გავითვალისწინოთ სტუდენტთა ინტერვიუს შედეგები. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათ ქვეყნებში სტუდენტები პაციენტებთან ბევრს მუშაობენ და იგივე სურთ საქართველოშიც. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტომატოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული მეტ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უნდა იძენდეს. მიზანშეწონილი იქნება, პროგრამის სწავლის შედეგების კლინიკური და პრაქტიკული უნარების ჩამონათვალი იყოს უფრო დეტალიზებული, ჩანდეს, კონკრეტულად რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს სტომატოლოგიის პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ვინაიდან პროგრამა ახალია, ჯერ არ ჩატარებულა, თუმცა იგეგმება შეფასების შედეგების მონიტორინგი, შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად იქნება გამოყენებული. პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არის ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ყოველი სემესტრის ბოლოს გაიმართება შეხვედრები, გაანალიზდება განვლილი კურსის და მთლიანად პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და დაიგეგმება მომდევნო სემესტრში განსახორციელებელი აქტივობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o ინტერვიუს შედეგები; o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, გაიწეროს/ჩამოყალიბდეს მეტი სწავლის შედეგი სტუდენტთა კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების მხრივ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		*		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი პროგრამის დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს: o საქართველოს/უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომელთაც გააჩნიათ საქართველოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი: o ერთიანი ეროვნული გამოცდები; o ინგლისური ენა B2 დონე; ასევე, პროგრამის დაშვების წინაპირობაა : უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება. გამონაკლისის სახით, უნივერსიტეტში აღნიშნულ

პროგრამაზე (უცხო ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქეებისთვის), პირი ჩაირიცხება აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სხვა პროცედურის შესაბამისად, ან აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი სხვა განსაკუთრებული წინაპირობით. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია გაზარდოს ინგლისური ენის მინიმალური კომპეტენციის დონე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. აღსანიშნავია, რომ ქართველ და უცხოელ აბიტურიენტებს უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა საინფორმაციო სერვისებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o ვებგვერდი; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შეიქმნა და დამტკიცდა უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად. წარმოდგენილი პროგრამა შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან:

- ზოგადი კომპეტენციის კურსები - 18 კრედიტი (სავალდებულო)
- სამედიცინო კურსების საფუძვლები - 36 კრედიტი (სავალდებულო)
- ზოგადი კომპეტენციის და სამედიცინო კურსების საფუძვლები - 12 კრედიტი (არჩევითი)
- სტომატოლოგიური მედიცინის კურსები - 234 კრედიტი (214 სავალდებულო და 20 არჩევითი)

ჯამში DMD სასწავლო გეგმა მოიცავს ხუთწლიან პროგრამას, თითოეული სასწავლო წელი 60 კრედიტი (კრედიტების სრული რაოდენობაა 300 ECTS).

პირველი ორი სასწავლო წელი მოიცავს ჰუმანიტარული მეცნიერებების ფართოდ ინტეგრირებულ ძირითად მოდულებს და ბიოსამედიცინო მეცნიერებებს, აგრეთვე კურსებს ადრეული კლინიკური ჩართულობით, რომელთანაც ერთად ისწავლება სტომატოლოგიის ძირითადი ღირებულებები, კლინიკური უნარები და კვლევის მეთოდები.

- პროგრამის სწავლების მეთოდების **ერთობლიობა უნდა** უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

აღნიშნული პროგრამის მიზნებისა და სწავლების შედეგების განხორციელება დაგეგმილია სასწავლო კურსებში ერთიმხრივ თეორიული მეცადინეობების - ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრეზენტაციების დემონსტრირების გზით და მეორემხრივ, პრაქტიკული მეცადინეობების კურსითა და კომპონენტებით. თუმცა, ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს მხოლოდ საფანტომო კურსებს არსებულ საუნივერსიტეტო ბაზაზე, ხოლო კლინიკური როტაციის პირობებში - სტუდენტების ასისტირების შესაძლებლობებს.

სწავლების პროცესების ორგანიზება მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის შეძენას, ასევე გარკვეული კომპეტენციის და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში **არ არის** გათვალისწინებული სტუდენტის მანუალური-პრაქტიკული უნარჩვევების ჩამოყალიბების მიზნით პაციენტთან ინდივიდუალური მუშაობა (პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ) და პროფესიული პრაქტიკა. სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა და აქტივობა განისაზღვრება ჯგუფებში მუშაობის, დისკუსია/დებატების, შემთხვევების ანალიზის, პრეზენტაციის და დემონსტრირების მეთოდების გზით. სწავლების ამგვარი მეთოდებისა და მათი კომპონენტების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების, აზროვნების და ანალიზის უნარის განვითარებას.

გარკვეული ხარვეზები და შეუსაბამობაა საბაზისო, ფუნდამენტური და სტომატოლოგიურ დაავადებათა სასწავლო კურსების, სილაბუსების თემატიკის (ტოპიკების), მოდულების რაოდენობას, საათებსა და პროპორციებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ფარგლებში, მოეწყო და აღიჭურვა საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზა (სტუდენტებისთვის განკუთვნილი), შესაბამისი

სასწავლო პროგრამის ფარგლებში, რაც თავისთავად სწავლების მეთოდების ეფექტურობის მაჩვენებლის ზრდას განსაზღვრავს. მისასალმებელია სტუდენტთა ინტეგრირება აღნიშნულ კლინიკურ სივრცეში, თუმცა სამომავლო რეკომენდაცია შეეხება სტუდენტთა ჩართულობას პრაქტიკული საქმიანობაში კერძოდ, პაციენტებთან ინდივიდუალურ და დამოუკიდებლად მუშაობას, პრაქტიკული უნარების განვითარებას, რათქმაუნდა პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o სილაბუსები o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: გასწორდეს სასწავლო კურსის ყველა სილაბუსი: თემატურად, შინაარსობივად; თითოეული სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგები იყოს თანმიმდევრული და განსაზღვრული კომპეტენციებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ძირითადი აქცენტი მაინც სტუდენტთა თეორიული მომზადებისკენაა მიმართული, რაც რათქმაუნდა აუცილებელია, ასევე საკმარისად იგეგმება პრაქტიკული უნარ-ჩვევების მანეკენებზე და ფანტომებზე შესწავლა, თუმცა მხოლოდ ფანტომებზე მუშაობა და ექიმების ასისტირება საკმარისი არაა კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მისაღებად.

სტომატოლოგიის პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად და გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაძღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსით გათვალისწინებული პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

თითოეულ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურადაა შემუშავებული, პროგრამის სტრუქტურა სტუდენტებისთვის ადექვატური და კარგად აღსაქმელია.

სილაბუსები წარმოდგენილია უახლესი ლიტერატურით. ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ასევე სტუდენტის ელექტრონულ ბაზაში ელექტრონული ვერსიის სახით. გარდა სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის.

კარგად სტრუქტურირებული სასწავლო პროგრამის მიუხედავად, სამწუხაროდ თითქმის ყველა სპეციალობის სასწავლო კურსის სილაბუსი არის დაუსრულებელი. არც ერთ სილაბუსში არ ჩანს პრაქტიკულად რას აკეთებს თვითონ სტუდენტი და შესაბამისად სემესტრის განმავლობაში მისი კლინიკური აქტივობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები არ ფასდება. ინტერვიუს და ბაზის დათვალიერების შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტები აქტიურად იმუშავებენ ფანტომებზე, თუმცა კონკრეტულად რას და როგორ გააკეთებენ, არსად არ არის დაკონკრეტებული. სპეციალიზაციის უმეტეს სასწავლო კურსებში ფასდება მხოლოდ სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნა, ისიც არა პრაქტიკულ მეცადინეობებზე, არამედ მხოლოდ შუალედურ გამოცდებზე.

სილაბუსებში გაპარულია შეცდომები, უზუსტობებია საათების შეჯამებაში, არ წერია კურსი რომელ სემესტრში ისწავლება, ზოგან ტექსტში და შემდგომ შეფასებაში გამოცდის განსხვავებული ფორმებია მითითებული, არ არის მითითებული კონსულტაციისთვის განკუთვნილი დრო და სხვა.

პრაქტიკული სასწავლო კურსების სილაბუსებში, თითქმის ყველგან გამოცდის ფორმად მითითებულია OSCE, თავისი მხოლოდ ზოგადი განმარტებით, არ არის დაკონკრეტებული რამდენ სადგურზე, რა დროში, რომელი კომპეტენციების შეფასება იგეგმება. ინტერვიუს დროს ამ შენიშვნაზე პასუხი იყო ის, რომ ჯერ ეს კურსები არ ისწავლება და დრო აქვთ შესადგენად, რაც არ არის მართებული.! პროგრამა თავისი ყველა კომპონენტით უნდა იყოს დასრულებული სახით.

სპეციალიზაციის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადების დეფიციტია, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც სტუდენტები ექიმებს ასისტირებას გაუწევენ ან უბრალოდ უყურებენ. კითხვაზე, თუ რატომ არ მიიღებენ სტუდენტები პაციენტებს, პასუხი იყო, რომ სტუდენტებს არ აქვთ ამის უფლება. საქართველოს კანონმდებლობით ეს დასაშვებია (კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 14.2.ა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o ინტერვიუს შედეგები; o მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; o სილაბუსები; o კურიკულუმის რუკა; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ელექტრონული პორტალი.
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, დაკონკრეტდეს ფანტომებზე, პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი, შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტუდენტებს პრაქტიკული უნარების (მაგალითად, პაციენტის კონსულტირება, პირველადი დახმარება, სხვადასხვა პროცედურის ჩატარება) განვითარების საშუალება ეძლევათ უნივერსიტეტში არსებულ სტომატოლოგიური სიმულაციის ლაბორატორიასა და სტომატოლოგიურ კლინიკაში. პრაქტიკის ორგანიზება ხდება კვალიფიციური პირის ზედამხედველობით. პრაქტიკული უნარების ათვისება ხდება მხოლოდ ფანტომებსა და სიმულატორებზე და არა უშუალოდ პაციენტებში, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. შესაბამისად პრაქტიკული უნარების განვითარება ხდება ნაწილობრივ, მხოლოდ ექიმის ასისტირების გზით. პრაქტიკის კლინიკურ კომპონენტზე განსაკუთრებით ღელავდნენ სტუდენტები ინტერვიუს დროს და აღნიშნავდნენ, რომ მათ ქვეყნებში სტუდენტები პაციენტებთან დიდი დოზით მუშაობენ.

რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევითი უნარებს, მათ განვითარებას ხელს უწყობს სავალდებული კურსი „კვლევის მეთოდები“ და ზოგიერთი არჩევითი კურსი (მაგ. „სტატისტიკის შესავალი“). ინტერვიუდან ირკვევა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი მომავალში გეგმავს სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის პროგრამა
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

დაინერგოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრ უმაღლეს სასწავლებელში და საქართველოს კანონმდებლობითაც დასაშვებია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- * ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა და აქტივობა განისაზღვრება ინტერაქტიული ლექციებით, სამუშაო ჯგუფური სესიებით, პრაქტიკული და ლაბორატორიული გაკვეთილებით, პრობლემაზე, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლებით, როლური და სიტუაციური თამაშების, ელექტრონული და სიმულაციური სწავლებით. სწავლების ამგვარი მეთოდებისა და მათი კომპონენტების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების, კოგნიტური აზროვნების და ანალიზის უნარის განვითარებას. სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაწილობრივ ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, დიდი ყურადღება ეთმობა თეორიულ სწავლებას და პრაქტიკული უნარების ათვისებას მანეკენებსა და ფანტომებზე მუშაობით, ექიმების ასისტირებით და ყურებით, რაც ერთის მხრივ უზრუნველყოფს სტუდენტის ინტეგრირებას კლინიკურ სივრცეში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. პაციენტებთან დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაციები, ანამნეზის შეკრება, დიაგნოზის დასმა, პრაქტიკული უნარების განვითარება (მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ) აუცილებელია ამ სპეციალობის პროგრამის სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- სილაბუსები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

რეკომენდაციები:

დაინერგოს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია სტუდენტის შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან მეტნაკლებად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას, თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, ასევე ინფორმაციას საკუთარი სუსტი მხარეების და მათი გაუმჯობესების შესახებ. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, ხდება მიღებული შეფასების შედეგების ანალიზი და მათი სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოყენება. უნივერსიტეტში გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა MCQ, ღია წიგნი, პორტფოლიო და სხვა. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად იგეგმება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), რაც ასევე გაწერილია სილაბუსებშიც, თუმცა სადგურების დეტალიზაციის გარეშე. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ გამოცდის ეს ფორმა წელს უკვე ამოქმედდება. სპეციალიზაციის სასწავლო კურსის სილაბუსებზე და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, ნათელია რომ სწავლების პროცესში ფასდება მხოლოდ თეორიული კომპონენტი, შუალედური ჩათვლების (ძირითადად MCQ), გზით, პრაქტიკული და კლინიკური უნარების შეფასება არ ტარდება, რაც აუცილებელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o ინტერვიუს შედეგები; o სილაბუსები; o მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

რეკომენდაციები: სტომატოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსებში, სადაც კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება, აუცილებელია პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტის დამატება. სილაბუსებში დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება პრაქტიკულ ნაწილში, მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			*	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა საკონსულტაციო სერვისი, რომლის სარგებლობაც შეუძლია ყველა სტუდენტს, მათ შორის სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებსაც, კერძოდ - სერვისის განვითარების ოფისი (Service Development Office), რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით სტუდენტებს კონსულტირებას უწევს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე; ასევე, კარიერული განვითარების ოფისი (The NVU Office of Career Development), კონსულტაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის ცენტრი (The NVU Counselling and Integration Support Center). პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში და საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ, ასევე არ გაუვლიათ კონსულტაციები კარიერულ წინსვლაზე. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვიზიტის დროისთვის პროგრამა იყო სამ თვეზე ნაკლები ხნის ამოქმედებული, შესაბამისად უნივერსიტეტსაც არ ჰქონდა საშუალება, წარმოედგინა სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა პროექტებისა და მათში ჩართული სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების შესახებ;
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუს შედეგები; o კარიერული განვითარების ცენტრის დოკუმენტაცია; o თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	*			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამებს განახორციელებენ ღია კონკურსის წესით შერჩეული აკადემიური პერსონალი და მოწვეული პერსონალი.

2019 წლის 6 ივნისს NVU აკადემიურმა საბჭომ აირჩია აკადემიური პერსონალი სტომატოლოგიური მედიცინის პროგრამისთვის NVU საკონკურსო კომისიის წარდგინების შესაბამისად.

თვითშფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 40 აკადემიური (13 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 12 ასისტენტ პროფესორი) და 4 მოწვეული პერსონალი. თუმცა უნივერსიტეტიდან გადმოგზავნილი პროგრამის განმახორციელებელი პირების ნუსხის მიხედვით - 25 აკადემიური (14 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი, 5 ასისტენტი) და 21 მოწვეული პერსონალი. ნუსხაში ასევე ზოგიერთ პერსონალს მითითებული ჰქონდა აკადემიური ხარისხი, რაც ვიზიტის დროს არ დადასტურდა.

პროგრამაში ჩართული ზოგიერთი აკადემიური პირის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. კვალიფიკაციის შეფასებისას შეუსაბამოა პროგრამის განმახორციელებელი პირების, რიგ შემთხვევაში აკადემიური ხარისხი, მიღებული სპეციალური განათლება, აგრეთვე პედაგოგიური სტაჟი და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელებიდან მხოლოდ ერთს გააჩნია აკადემიური ხარისხი, მეორე ჯერ დოქტორანტია (თუმცა პროფესორი). ასევე ჯერ კიდევ დოქტორანტები არიან პროგრამის, სასწავლო კურსების განმახორციელებელი პირები. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, განსაკუთრებით სპეციალიზაციის სასწავლო კურსებში უმეტესად ახალგაზრდა გუნდითაა წარმოდგენილი, შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით.

ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ კითხვაზე, თუ კონკურსის პირობების მიუხედავად, აკადემიურ თანამდებობაზე რატომ არიან არჩეული დოქტორის აკადემიური ხარისხის და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟის არმქონე პირები, გვიპასუხა, რომ ისინი არჩეული არიან უნივერსიტეტის წესდებაში არსებული გამონაკლისის სახით.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება ინგლისურ ენაზე წარიმართა, რესპოდენტებმა ენის სათანადო ცოდნა გამოავლინეს.

სპეციალობის აკადემიური პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს, აქვთ კარგი კლინიკური - პრაქტიკული გამოცდილება, რადგან მათი უმრავლესობა პრაქტიკული აქტივობებით გამოირჩევა და ფლობს სათანადო ცოდნას და კვალიფიკაციას. ასევე, პროგრამის განვითარებაში პერიოდულად, გარკვეულ ეტაპზე, ჩართულები არიან საერთაშორისო ლექტორები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- პერსონალის პირადი საქმეები: მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები და რეზიუმეები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- უნივერსიტეტის წესდება;

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, გადაიხედოს პირადი საქმეები, სასწავლო კურსის და სილაბუსების ავტორები შეირჩეს შესაბამისი კვალიფიკაციით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან * ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში დანერგილია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგებზე რეაგირების პროცედურები. პერსონალის შეფასებაში მონაწილეობენ სტუდენტებიც (სტუდენტების გამოკითხვა). 2019 წლიდან მოქმედებს ატესტაციის პროცედურები. უნივერსიტეტს იყენებს პერსონალის განვითარების ინდივიდუალურ მოდელს, რაც გულისხმობს პერსონალის განვითარების გეგმის მომზადებას (PDP), ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას და შემდგომში საჭირო ღონისძიებების გატარებას. შეფასების კრიტერიუმები გაწერილი არ არის ზემოაღნიშნული ინდივიდუალური მიდგომის გამო. შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დროულად იქნას ცვლილებები განხორციელებული. პერსონალი იცნობს აღნიშნულ პროცედურებს. მოწვეული პერსონალის შეფასება მეტწილად სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხორციელდება. პროცესს ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების კომიტეტი (The Human Resources Committee). არსებულ პერსონალს აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები) მონაწილეობის გამოცდილება. სტომატოლოგიის პროგრამის ბიუჯეტით კი აკადემიური

პერსონალის განვითარებისთვის გათვალისწინებული თანხა შეადგენს 48,811.64 აშშ დოლარს (ხუთ წელზე გადანაწილებით). უნივერსიტეტი პერიოდულად აცხადებს საგრანტო კვლევითი პროექტების კონკურსს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის. არსებული მედიცინის სკოლის გამოცდილება გამოიყენება სტომატოლოგიის პროგრამის ახალი პერსონალის ტრენირებისთვის - სტომატოლოგიის პროგრამის ლექტორები ესწრებიან მედიცინის სკოლის ლექტორების ლექციებს და ეუფლებიან სწავლების თანამედროვე მეთოლოგიას. პერსონალის (ლექტორების) შეფასება ხორციელდება ე.წ. „შოფინგ ვიკის“ საშუალებით, რაც გულისხმობს საჩველებელი ლექციების ჩატარებას, რომელსაც შეფასების მიზნით ესწრებიან უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; o სტომატოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი; o ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება; o პერსონალის პირადი საქმეები: მათთან გამოფრმებული ხელშეკრულებები და რეზიუმეები; o თვითშეფასების ანგარიში; o სილაბუსები; o უნივერსიტეტის წესდება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტომატოლოგიის პროგრამის განხორციელებისთვის ექსპლუატაციაში შედის ახალი კამპუსი, რომელშიც განთავსებულია სტომატოლოგიური კლინიკა. კლინიკა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სამედიცინო დანადგარებითა და აღჭურვილობით: სტომატოლოგიური სავარძლები (5 ერთეული), ინსტრუმენტების სტერილიზაციისთვის განკუთვნილი ავტოკლავი, ციფრული დენტალური რენტგენის სტაციონარული აპარატი და სხვ. საფანტომო კურსისთვის გათვალისწინებულია 5 სტომატოლოგიური სავარძელი შესაბამისი მულაჟებით, მოდელები, ანესთეზიისთვის განკუთვნილი სიმულატორები; სტომატოლოგიური კლინიკა ჯერ არ ფუქციონირებს, დასასრულებელია სხვადასხვა ბიუროკრატიული საფეხურები. რენტგენის აპარატის ლიცენზირების პროცესი დაწყებულია. კლინიკაში განთავსებულია ოთახი სამედიცინო ინსტრუმენტების დეზინფექციისა და სტერილიზაციისთვის. ცალკეა რენტგენის კაბინეტი და მოდელებზე სამუშაო სივრცე.

კლინიკა განკუთვნილია სტუდენტების პრაქტიკული მუშაობისთვის. სტომატოლოგიური კლინიკის სივრცე აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, უნივერსიტეტს გაფორნებული აქვს მემორანდუმები სტომატოლოგიურ კლინიკებთან: „ნიუ დენტი“(ი/მ თეა გზირიშვილი) და შპს „ვიაიპი სტომატოლოგია“. მემორანდუმის მიხედვით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ აღნიშნული კლინიკების კლინიკური ბაზით.

უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე და უნივერსიტეტის ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომის შესაძლებლობა. სისტემა საკმაოდ მარტივია, მას იცნობენ და იყენებენ როგორც სტუდენტები, ისე პერსონალი.

სტომატოლოგიური პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 3,119.41 აშშ დოლარი ლიტერატურის შესაძენად, თუმცა პროგრამით მოთხოვნილი სახელმძღვანელოები ნანახი იქნა ადგილზე ვიზიტისას ელექტრონულ ბიბლიოთეკაში;

ბიბლიოთეკა და შესაბამისი სამკითხველო და სამუშაო დარბაზები განთავსებულია უნივერსიტეტის ორ სხვადასხვა კამპუსში. მათგან ერთ-ერთში, ვიზიტის განხორციელების პერიოდისთვის, მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და ვერ მოხერხდა რესურსების შეფასება, თუმცა სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუებით და ავტორიზაციის დასკვნიდან ნათელი ხდება არსებული მდგომარეობისა და პრაქტიკის შესახებ.

არსებული რესურსების რაოდენობა თავსებადია უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან;
- ადგილზე ვიზიტის (დათვალიერების) შედეგები;
- გაფორმებული მემორანდუმები;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კლინიკისთვის გათვალისწინებული არაა სახიფათო ნარჩენების დროებითი სათავსი. საქართველოს მთავრობის დადგენილების, #294 ტექნიკური რეგლამენტის - „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს ამბულატორიული დაწესებულებებისათვის, გარდა მაღალი რისკის ამბულატორიული საქმიანობის იმ მიმწოდებლებისა, სადაც დღე-ღამეში წარმოიქმენა 6 ლიტრზე მეტი სახიფათო ნარჩენი. კლინიკის სრული დატვირთვით ამუშავების შემთხვევაში 6 ლიტრზე მეტი სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის ალბათობა დიდია. შესაბამისად, სასურველი იქნება კლინიკის მშენებლობის / რემონტის სრულად დასრულებამდე სივრცის გამოყოფა სახიფათო ნარჩენების დროებით განთავსებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში პროგრამის შემოსავლები დაანგარიშებულია სწავლის საფასურის მიხედვით, ხოლო ხარჯებში გათვალისწინებულია სალექციო საათების ანაზღაურება, ასევე, ლაბორატორიის მოწყობის, მულაჟების, პრეპარატებისა და ლიტერატურის შეძენისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები. გარდა ამისა, ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამის განვითარების, აკადემიური პერსონალის განვითარების, სტუდენტთა დაზღვევის სერვისისა და გაუთვალისწინებელ ხარჯებს. პროგრამაში ფინანსურ რესურსების განაწილების, ასევე, შემოსავლებსა და ხარჯებს შორის თანაფარდობის ანალიზით დასტურდება პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის ბიუჯეტი; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	*			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის კულტურის კომიტეტი (Quality Culture Committee) (QCC), რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. აღნიშნული კომიტეტი წარმოადგენს მთავარ ორგანოს, რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემაზე. სხვა საკითხებთან ერთად, იგი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხსაც. სტომატოლოგიური მედიცინის პროგრამაზე მუშაობისას პროგრამის ხელმძღვანელები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ QCC–სთან და მისდევდნენ მის წესებს (მაგ. კრედიტ საათების გაანგარიშება, უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის ჩარჩო, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო და ა.შ.). ვინაიდან ეს გახლავთ ახალი პროგრამა, კვლევის შედეგები არ არის ხელმისაწვდომი. ამასთან, QA–ის ყველა მექანიზმი, რაც უნივერსიტეტში არსებობს, მომავალში გამოყენებული იქნება ამ კონკრეტული პროგრამის მიმართ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება; http://newvision.ge/sites/default/files/xarisxis_kulturis_komitetis_debuleba_0.pdf o ინტერვიუს შედეგები; o თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის პროგრამის დამატება მოხდა ავტორიზაციის რეჟიმში. ავტორიზაციის დასკვნაში არაა შემუშავებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებისთვის, ვინაიდან, ავტორიზაციის პროცესში არ მომხდარა პროგრამის სიღრმისეული შეფასება. პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციის პროცესს. უნივერსიტეტი ღიაა ცვლილებებისთვის, გუნდი მოტივირებულია პროგრამის გაუმჯობესებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან; o თვითშეფასების ანგარიში; o ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისათვის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის პროგრამის მონიტორინგზე და ხარისხზე ზედამხედველობას ახორციელებს ხარისხის კულტურის კომიტეტი. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულების შესაბამისად: „სასწავლო პროცესის შემდგომი დახვეწისათვის გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებული პროგრამის კომპონენტის შეფასების კითხვარი. შედეგებს აანალიზებს კომპონენტის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და რეკომენდაციით მიმართავს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისი ცვლილებები აისახება კომპონენტის სილაბუსში, საგანმანათლებლო პროგრამაში ან უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში“, რაც დასტურდება აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით. პროგრამის შემუშავების პერიოდში გაანალიზდა 14 სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტის სტომატოლოგიური პროგრამა, ჩართულები იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები. დამსაქმებლების ჩართულობისა და თანამშრომლობის ხარისხის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ინსტრუმენტი (კითხვარი), რომელიც პროგრამის გამუჯობესებისთვის ინფორმაციის პერიოდულ გადასიჯვას ისახავს მიზნად.

პროგრამის ხელმძღვანელები მოტივირებულები არიან, რომ ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ზემოაღნიშნული მოკვლევის და სიახლეების დანერგვის პროცესი იყოს უწყვეტი.

დაწესებულებაში დანერგილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების დასწრების საშუალებით, რაც სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. ინტერვიუებზე სტუდენტების და კურსდამთავრებულების ნაწილი აღნიშნავს პროგრამის გაუმჯობესების პროცესში მათ ნაკლებ ჩართულობას (მაგ. აღნიშნავს, რომ არასდროს შეუვსია კითხვარი, რომელიც სასწავლო პროცესის შეფასებას ითვალისწინებდა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება;
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დამსაქმებლების/ პოტენციური დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დამსაქმებელების/ პოტენციური დამსაქმებელების აზრის და კმაყოფილების კვლევის ინსტრუმენტი (კითხვარი) და კომპეტენციების რუკა.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სტუდენტების მეტი ჩართულობა პროგრამის გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ გამოკითხვებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება * შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ააიპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სტომატოლოგიის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		*		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			*	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	*			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	*			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო კორსანტია
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე ბეშკენაძე ზურაბ ალხანიშვილი ვახტანგ თებიძე